საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/232 " 14 " დეკემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლ. მილდენბერგერის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4^1 პუნქტის შესაბამისად, ლელა მილდენბერგერი 2018 წლის 18 იანვრიდან გამწესდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის საფუძველზე 2019 წლის 2 დეკემბრიდან ლელა მილდენბერგერი, თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე–36^4 მუხლების შესაბამისად, 2018 წლის 18 იანვრიდან 2020 წლის 18 სექტემბრამდე პერიოდში ლელა მილდენბერგერის შეფასების მიზნით განხორციელდა 6 დამოუკიდებელი შეფასება საბჭოს სამი მოსამართლე (დ. გვრიტიშვილი; ი. შენგელია; ვ. მშვენიერაძე) და სამი არამოსამართლე (ა. დოლიძე; ლ. გზირიშვილი; შ. ქადაგიძე) წევრის მიერ. აღნიშნული შეფასებების შედეგად მოსამართლე აკმაყოფილებს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს. კერძოდ, ხუთი წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო ერთი წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მოსამართლე ლელა მილდენბერგერის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი შეადგენს 526 ქულას, რაც წარმოადგენს ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (600 ქულა) 87,6%-ს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით (საბჭოს სრული შემადგენლობის მხარდაჭერით) „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4, 4^1 და 4^2 პუნქტების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლელა მილდენბერგერი 2021 წლის 18 იანვრიდან თანამდებობაზე გამწესდეს უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე